ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 18

20 16 წ. "06" 06

ქ.თბილისი

„შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის წლის 31 ივლისის №224 გადაწყვეტილების მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარს" მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 40-ით."

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 6 ივნისის №5 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე